საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ადიში



ადიში, ჰადიში, ხეობური მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის აუზში. საზრდოობს მწვერვალების თეთნულდის, გისტოლის, ადიშისა და ლაქუცა-ლარტყალის სამხრ. კალთებიდან ჩამონადენი მყინვარების ნაკადებით. ა-ის მყინვარიდან გამოდის მდ. ადიშჭალა, ჰადიშჭალა (ენგურის მარჯვ. შენაკადი). მისასვლელი გზა სოფ. ადიშიდან.

ადიში მყინვარი